



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 34

2016 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ზოგიერთი
საგრანტო პროექტის მოხსნის შესახებ

„2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო
სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის
პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 იანვრის N07 ბრძანებით დამტკიცებული
კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის შესახებ პირობების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის, „საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი
წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის
N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სსიპ - შოთა
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის,
შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების ნინო დემეტრაშვილის და ლოლიტა
შენგელიას სამსახურებრივი ბარათის (N201638; 26.02.2016წ.) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებულ საგრანტო კონკურსიდან,
კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული
განაცხადები;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6)

მარინე ჩიტაშვილი